უფლის ფერისცვალების შემდგომ დღესასწაულზე ჰევიზის მართლმადიდებლურ სამრევლოში ლიტურგია ჩატარდა

2021 წლის 20 აგვისტოს უფლის ფერისცვალების შემდგომ დღესასწაულზე, უნგრეთში მთავარი ეროვნული დღესასწაული აღინიშნება – წმინდა სტეფანეს (იშტვანის) ხსენების დღე, უნგრელთა მეფის, რომელიც უნგრელების განმანათლებლად და უნგრეთის სახელმწიფოს დამაარსებლად ითვლება. ჩვეულებისამებრ ამ დღეს იკურთხება ახალი მოსავლის პური. ასევე ტრადიციულად ფერისცვალების დღესასწაულისთვის აღესრულება ყურძნისა და ხილის კურთხევა.

ჰევიზის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის „ცხოველსმყოფელი წყაროს“ სახელობის მართლმადიდებლურ სამრევლოში, ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ნიკოლოზ კიმმა დიაკვნების სტეფანე ვაინო-ელიაშისა და ვლადიმირ ჩეპიჟოვის თანამსახურებით სადღესასწაული ლიტურგია

აღასრულა. საკურთხეველში მსახურებას ესწრებოდა მღვდელმონაზონი ეფრემი (საბო).

ღვთისმსახურება ჩატარდა საეკლესიო სლავურ და უნგრულ ენებზე. ლიტურგიაზე გალობდა სამრევლო მგალობელთა გუნდი (რეგენტი ნატალია პროკკი). უნგრულ ენაზე კი საგალობლები, გუნდმა რეგენტ მარტა ვაინო-ელიაშის ხელმძღვანელობით შეასრულა.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ დეკანოზმა ნიკოლოზმა ხილი და პური აკურთხა.

ჰევიზის „ცხოველსმყოფელი წყაროს“ ხატის სახელობის სამრევლო/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87904/